

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მედიცინის
ფაკულტეტი

ქეთევან სიდამონიძე

საქართველოში გამოყოფილი *Brucella*-ს შტამების შესწავლა,
მოლეკულური ტიპირება და ფილოგენეტიკური ანალიზი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი

შოთა ცანავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

თბილისი, 2018 წელი

სარჩევი

1. შესავალი	4
1.1. აქტუალობა	4
1.2. მიზანი.....	5
1.3. ამოცანები	5
1.4. მეცნიერული სიახლე	5
2. ლიტერატურული მიმოხილვა	6
2.1. ისტორიული ექსკურსი	6
2.2. ბრუცელოზის ეტიოლოგია.....	7
2.3. ბრუცელოზის ეპიდემიოლოგია	9
2.4. ბრუცელოზის კლინიკა	12
2.5. ბრუცელოზის გავრცელება მსოფლიოში	14
2.6. ბრუცელოზის გავრცელება საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში	16
2.7. ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში	18
2.8. ბრუცელოზის ვაქცინაცია	20
2.9. ბრუცელოზის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.....	21
2.10. ბრუცელას შტამების მოლეკულური გენოტიპირება	21
3. კვლევის მასალა და მეთოდები	26
3.1. შემოსული ნიმუშების პირველადი დამუშავება.....	26
3.2. სეროლოგიური დიაგნოსტიკა.....	27
3.3. ბაქტერიოლოგიური კვლევები	28
3.4. მოლეკულური კვლევები	30
3.4.1. დნმ-ის ექსტრაქცია	30
3.4.2. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია რეალურ დროში	30
3.4.3. AMOS პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (AMOS პჯრ).....	32
3.4.4. ერთ-ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმი (SNP).....	34
3.4.5. მრავლობითი ლოკუსების ტანდემურად განმეორებადი თანამიმდევრობების ცვლადი რაოდენობის ანალიზი	41
3.4.6. Brucellader პჯრ.....	48

3.4.7.	დნმ-ის ექსტრაქცია სრული გენომური სექვენირებისათვის	51
3.4.8.	სრული გენომის სექვენირება	53
4.	კვლევის შედეგები.....	55
5.	შედეგების განხილვა.....	86
6.	დასკვნები.....	91
7.	პრაქტიკული რეკომენდაციები.....	92
8.	ლიტერატურა	93
9.	დანართი 1. სადისერტაციო ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.....	104
10.	დანართი 2. საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები	109
11.	დანართი 3. საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებები	110

1. შესავალი

1.1. აქტუალობა

ბრუცელოზი გლობალურად გავრცელებული ზოონოზური დაავადებაა, რომლითაც ყოველწლიურად 500.000-ზე მეტი ადამიანი ავადდება და იწვევს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს. ბრუცელა მისი ზოგიერთი სახეობის მაღალი ინფექციურობის გამო ადამიანისთვის მე-3 რისკ-ჯგუფის ბიოლოგიური საფრთხის პათოგენს მიეკუთვნება.

ბრუცელოზი საქართველოში ენდემური დაავადებაა. მისი კერები უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. ბრუცელოზის გავრცელების ინტენსიური შესწავლა საქართველოში დაიწყო მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან. უკანასკნელ წლებში ბრუცელოზის შემთხვევები საქართველოს ყველა რეგიონში ფიქსირდება და შემთხვევების კლების ტენდენცია არ ფიქსირდება. ბრუცელოზი ასევე ენდემურია საქართველოს მეზობელი ქვეყნებისთვისაც (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთი).

ბრუცელას შტამების დახასიათება სახეობის და ბიოვარის დონეზე შესაძლებელია სხვადასხვა მიკრობიოლოგიური მეთოდებით. ამასთან, ბიოტიპირების ეს მეთოდები დიდ დროს მოითხოვს და პოტენციურად საშიშია ლაბორატორიის პერსონალისთვის. ზოგიერთ სახეობასა და ბიოვარს შორის შეზღუდულმა ვარიაციებმა კი შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები და გაართულოს მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია. სწორედ ამიტომ ბიოტიპირების ბაქტერიოლოგიური მეთოდები ნაკლებად გამოიყენება იმ ეპიდემიოლოგიური კვლევებისათვის, სადაც აუცილებელია ბრუცელოზის გამომწვევის უფრო ზუსტი იდენტიფიკაცია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ბრუცელას შტამების გენეტიკური დახასიათება თანამედროვე მოლეკულური მეთოდების საშუალებით.

1.2. მიზანი

საქართველოში ბრუცელოზის ზედმხედველობისათვის თანამედროვე მოლეკულური მეთოდების შემუშავება და დანერგვა.

1.3. ამოცანები

- საქართველოში უკანასკნელ წლებში გამოყოფილი ბრუცელას შტამების მოლეკულური მეთოდებით შესწავლა;
- ბრუცელას სხვადასხვა სახეობის შტამების გენოტიპირების მეთოდების შედარებითი ანალიზი;
- საქართველოში მოცირკულირე ბრუცელას შტამების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა;
- *Brucella melitensis* და *Brucella abortus*–ის შტამების სრული გენომური სექვენირება და ფილოგენეტიკური ანალიზი.

1.4. მეცნიერული სიახლე

პირველად გენეტიკურად დადასტურა საქართველოში, *Brucella*-ს ორი სახეობის (*B. abortus* და *B. melitensis*) აქტიური ცირკულაცია.

მრავლობითი ლოკუსების ტანდემურად განმეორებადი თანმიმდევრობების ცვლადი რაოდენობის ანალიზის (MLVA) ტიპირებით დადგინდა საქართველოში მოცირკულირე *B. abortus*-ის და *B. melitensis* -ის შტამების გენეტიკური მრავალფეროვნება;

სრული გენომური სექვენირებისა და ფილოგენეტიკური ანალიზის საშუალებით დადგინდა საქართველოში გამოყოფილი ბრუცელას შტამების გენეტიკური პროფილის სიახლოვე მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში გავრცელებულ ბრუცელას შტამებთან;

ბრუცელას შტამების MLVA ტიპირებით დადგინდა საქართველოსა და თურქეთს შორის ბრუცელას შტამების მიგრაცია;

საქართველოში ბრუცელოზის ზედმხედველობისათვის შემუშავდა თანამედროვე მოლეკულური მეთოდები.

2. ლიტერატურული მიმოხილვა

2.1. ისტორიული ექსკურსი

ბრუცელოზი თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელებული ზოონოზური ინფექციაა, რომლის კლინიკური სიმპტომებიც ცნობილია ჰიპოკრატეს დროიდან.¹ ვიდრე ბრუცელოზის ეტიოლოგია დადგინდებოდა, დაავადების დასახელებას უკაბშირებდნენ მის გეოგრაფიულ გავრცელებას (მალტის, გიბრალტარის, ხმელთაშუა ზღვის, კვიპროსის, კრეტის ცხელება) ან კლინიკურ ნიშნებს (ტალღისებური, ინტერმისიული, ტიფომალარიული და ფუკომალარიული ცხელება).²

დამოუკიდებელ ნოზოლოგიურ ერთეულად ბრუცელოზი (მალტის ცხელების სახელით) დიფერენცირებულ იქნა 1861 წელს ჯეფრი ალან მარტსონის (Jeffrey Alan Marston) მიერ. 1887 წელს დევიდ ბრიუსმა (David Bruce) პირველად გამოყო ბრუცელოზის გამომწვევი გარდაცვლილი პაციენტის ელენთიდან და მას *Micrococcus melitensis* უწოდა (შემდგომში ბრიუსის პატივსაცემად *Brucella melitensis* ეწოდა).^{3,4} 1897 წელს ბერნარდ ბანგმა (Bernard Bang) ძროხებიდან ეპიზოოტიური აბორტის დროს გამოყო მიკროორგანიზმი, რომელსაც უწოდა *Bacterium abortus bovis*. 1914 წელს ტრაუმმა (Traum) აბორტირებული ღორიდან გამოყო ბრუცელას მესამე სახეობა და უწოდა *Bacterium abortus suis*.⁵ 1920 წელს მეიერმა (Karl Meyer) და შოუმ (Shaw) სამივე მიკრობი: *Micrococcus melitensis*, *Bacterium abortus bovis* და *Bacterium abortus suis* ერთ ჯგუფში გააერთიანა, საერთო სახელწოდებით *Brucella*.⁶

XX საუკუნის 50-იან წლებში ახალ ზელანდიაში ბადლმა (Buddle) და ავსტრალიაში სიმონსმა (Simmons) და ჰალმა (Hall) გამოყვეს მიკროორგანიზმი, რომელიც ცხვრებში

იწვევდა ეპიდემიის. ბადლიმ აღნიშნული მიკროორგანიზმი მიაკუთვნა ბრუცელას გვარს და უწოდა *Brucella ovis*.⁷

1957 წელს სტონერმა (Stoenner) და ლეკმანმა (Lackman) აშშ-ში უდაბნოს ვირთაგვებისაგან გამოყვეს მიკროორგანიზმი, რომელიც ბრუცელას იდენტური აღმოჩნდა და *Brucella neotomae* უწოდეს.⁸ 1966 წელს კარმაიკლმა გამოყო ძაღლებში ბრუცელოზის გამომწვევი და *Brucella canis* უწოდა.⁹

1897 წელს ელმროტ რაიტმა (Almroth Wright), დევიდ სემპლემ (David Semple) და ჰორტონ სმიტმა (Horton Smith) დაადგინეს, რომ ბრუცელოზით დაავადებული ადამიანის სისხლის შრატს შეუძლია მოახდინოს მალტის მიკროკოკის კულტურის აგლუტინაცია, რაც საფუძვლად დაედო ბრუცელოზის სეროდიაგნოსტიკას (რაიტის რეაქცია).¹⁰

2.2. ბრუცელოზის ეტიოლოგია

ბრუცელოზის გამომწვევი ბაქტერიები მიეკუთვნებიან გვარს *Brucella*, რომელშიც დღეისათვის 10 სახეობა შედის: *B. melitensis* (3 ბიოვარი), *B. abortus* (7 ბიოვარი), *B. suis* (5 ბიოვარი), *B. canis*, *B. ovis*, *B. neotomae*, *B. ceti*, *B. pinnipediae*, *B. microti* და *B. inopinata*^{11,12} ადამიანისათვის მაღალპათოგენურად ითვლება *B. melitensis* და *B. suis*, ზომიერად პათოგენურად *B. abortus* და *B. canis*.¹³

ბრუცელები გრამუარყოფითი ბაქტერიებია, არ წარმოქმნიან სპორებს. ახასიათებთ პოლიმორფიზმი - კოკისებური და ჩხირისებური ფორმები, ზომით 0,5 – 0,7 X 0,6 – 1,5 მკმ.^{14,15} ბრუცელებს შეუძლიათ რევერსია S-, R- და L- ფორმებში, არსებობა როგორც უჯრედის შიგნით, ასევე უჯრედის გარეშე. ბრუცელების გენომის საშუალო მოლეკულური მასა 2,37X10⁹ დალტონია.¹⁶

ბრუცელები ეგზოტოქსინს არ გამოიმუშავენ. მათი დაშლის შედეგად გამოიყოფა ენდოტოქსინი. ბრუცელების პათოგენურობის ძირითადი ფაქტორებია: ენდოტოქსინი,

ჰემოლიზინები, ადენინის და გუანინის მონოფოსფატი, რომლებიც აინჰიბირებენ ფაგოსომურ ენზიმებს და განაპირობებენ ფაგოციტოზისადმი მდგრადობას.¹⁷

ბრუცელები ნაკლებად გამძლენი არიან მაღალი ტემპერატურისადმი. თხევად გარემოში +60°C-ზე იღუპებიან 30 წუთში, +80-85°C-ზე 5 წუთში, +100°C-ზე მაშინვე. გააჩნიათ მდგრადობა დაბალი ტემპერატურისადმი. ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებენ სიცოცხისუნარიანობას მაცივარში შენახულ საკვებ პროდუქტებში. მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებით იღუპებიან 4-5 საათში, სიცოცხისუნარიანობას ნიადაგში და წყალში ინარჩუნებენ დაახლოებით 100 დღის მანძილზე. ცხოველურ ნედლეულში ორი კვირიდან ოთხ თვემდე. ბრუცელები მგრძობიარენი არიან სხვადასხვა დეზინფექტანტების მიმართ. ფენოლის 2%-იანი ხსნარის ან ლიზოლის 3%-იანი ხსნარის ზემოქმედების შედეგად იღუპებიან რამდენიმე წუთში. ბრუცელოზზე საექვო მასალის დათესვა წარმოებს შოკოლადისებრ, მაკ-კონკის და ბრუცელას სელექტიურ საკვებ ნიადაგებზე. ბრუცელებს ბიოქიმიური აქტივობა სუსტად აქვთ გამოხატული; შედეგებულ შრატს და ჟელატინს არ ალღობენ, ინდოლს არ წარმოქმნიან და რძეს არ ადედებენ. გოგირდწყალბადის წარმოქმნა სახეობრივი თვისებაა. ზოგიერთი შტამი შლის გლუკოზას, არაბინოზას, გალაქტოზას, ქსილოზას და ლევულოზას. ასევე დამახასიათებელია კატალაზური აქტივობა.¹⁸

ცხრილი 1. ბრუცელას სახეობების კოლონიების მორფოლოგია და ბიოქიმიური აქტივობა

ბრუცელას სახეობა	კოლონიების მორფოლოგია	ოქსიდაზა	ურეაზული აქტივობა
<i>B. abortus</i>	გლუვი	+	+
<i>B. suis</i>	გლუვი	+	+
<i>B. melitensis</i>	გლუვი	+	+
<i>B. neotomae</i>	გლუვი	-	+
<i>B. ovis</i>	ხორკლიანი	-	-

<i>B. canis</i>	ხორკლიანი	+	+
<i>B. ceti</i>	გლუვი	+	+
<i>B. pinnipedialis</i>	გლუვი	+	+
<i>B. microti</i>	გლუვი	+	+
<i>B. inopinata</i>	გლუვი	+	+

2.3. ბრუცელოზის ეპიდემიოლოგია

ბრუცელოზის რეზერვუარია ცხვრები, თხები, ძროხები, ღორები. შედარებით იშვიათად ინფექციის წყარო შეიძლება იყვნენ ჩრდილოეთის ირმები, ცხენები, აქლემები და იაკები, რომლებიც რძესთან, შარდთან და ფეკალურ მასებთან ერთად გამოყოფენ ბრუცელებს. ადამიანებში ყველაზე ხშირად ბრუცელოზს იწვევს *B. abortus* და *B. melitensis*.¹⁹

ცხრილი 2. ბრუცელას სახეობები და მათი ძირითადი რეზერვუარები

ბრუცელას სახეობები	ძირითადი რეზერვუარი
<i>B. melitensis</i>	ცხვარი, თხა
<i>B. abortus</i>	მსხვილი რქოსანი პირუტყვი
<i>B. suis</i>	შინაური და გარეული ღორი, კურდღელი, ჩრდილოეთის და კანადის ირემი, მღრღნელები
<i>B. neotomae</i>	უდაბნოს ტყის ვირთაგვა
<i>B. ovis</i>	ყოჩი
<i>B. canis</i>	ძაღლი
<i>B. ceti</i>	ვეშაპისნაირები
<i>B. pinnipedialis</i>	ბრტყელტერფა ცხოველები
<i>B. microti</i>	ნიადაგი, ვირთხა, მელია
<i>B. inopinata</i>	უცნობია

ადამიანის ბრუცელოზით დაინფიცირება უპირატესად ხდება ფეკალურ-ორალური გზით. შესაძლებელია ასევე კონტაქტური (დაზიანებულ კანსა და ლორწოვან გარსებზე ბრუცელოზის გამომწვევის მოხვედრა) და აეროგენული გზით დაინფიცირებაც. ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენენ ბრუცელოზით დაავადებული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის უმი რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ნედლეული (ტყავი, ბეწვეული). ბრუცელოზით დაავადებული ცხოველები ბრუცელებით აბინძურენ წყალს და ნიადაგს, რამაც შემდგომში აგრეთვე შეიძლება განაპირობოს ადამიანის დაინფიცირება. ასპირაციული გზით ბრუცელოზით დაინფიცირება შესაძლებელია ცხვრის გაკრეჭვის, ბეწვის და ტყავის დამუშავების დროს. ბრუცელებმა შეიძლება ორგანიზმში შეაღწიონ თვალის კონიუქტივის ლორწოვანი გარსის საშუალებითაც. აღწერილია ლაბორატორიული პერსონალის ბრუცელოზით აეროგენული დაინფიცირების შემთხვევები. ცნობილია ადამიანთა წყლის საშუალებით ბრუცელოზით დაინფიცირების შემთხვევები, თუმცა ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ინფექციის გავრცელების აღნიშნული გზა უმნიშვნელოა.¹⁸

ბრუცელოზით უპირატესად ავადდებიან სასოფლო-სამეურნეო ცხოველები: ცხვრები, თხები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორები, აქლემები, ჩრდილოეთის ირმები და სხვა. ცხოველების ყოველი სახეობა, როგორც წესი, ინფიცირდება ბრუცელების განსაზღვრული სახეობით. ამასთან, *B. melitensis* და *B. abortus* შეუძლიათ მიგრირება სხვა სახეობის ცხოველებშიც. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია *B. melitensis* მიგრაციას მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან *B. suis* ბიოვარი 1 გამოიყო ავსტრალიაში,²⁰ ჩრდილოეთ ამერიკაში^{21,22} და სამხრეთ ამერიკაში,^{23,24,25} *B. suis* ბიოვარი 2 კი ევროპაში (პოლონეთსა და დანიაში).^{26,27}

ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის ცხოველებს შორის ბრუცელოზის შემთხვევები მხოლოდ 38

ქვეყანაში არ აღირიცხება. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბრუცელოზით ავადობა ლიკვიდირებულია და ევროკავშირის 64/432/EEC დირექტივის თანახმად ითვლებიან „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბრუცელოზისაგან თავისუფლად“.²⁸

ამერიკელი და ბრიტანელი მეცნიერების მიერ დადგინდა *B. maris* ციკულაცია ზღვის ძუძუმწოვრებს შორის. კერძოდ, ქვესახეობა *B. pinnipedialis* ფეხფარფლიანებში (სელაპი, ზღვის ლომი და ლომვეშაპი), ხოლო *B. ceti-s* ვეშაპისებრთა ოჯახის წარმომადგენლებში (ვეშაპი, დელფინი და ზღვის ღორები).^{29,30} ზღვის ძუძუმწოვრებს შეუძლიათ ბრუცელოზით დააინფიცირონ, როგორც ხმელეთის ძუძუმწოვრები, ასევე ადამიანიც, რადგან *B.maris* იწვევს ხმელეთის ძუძუმწოვრებსა და ადამიანში ბრუცელოზს.³¹

ბრუცელები ცხოველების ორგანიზმში აღწევენ საჭმლის მომწელებელი ტრაქტის, სასქესო და სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების და კონიუქტივის საშუალებით. აგრეთვე კანის საფარველიდან, თუ მისი მთლიანობა დაღვეულია.

ცხოველებში ბრუცელოზის კლინიკური სურათი ხასიათდება პოლიმორფიზმით. ამასთან, ძირითადი კლინიკური ნიშანია აბორტი. აბორტებს გააჩიანთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრუცელოზის ეპიზოოტოლოგიასა და ეპიდემიოლოგიაში, რადგან აბორტს თან ახლავს აბორტირებულ ნაყოფთან და პლაცენტასთან ერთად ბრუცელების მასიური და ხანგრძლივი გამოყოფა. ბრუცელოზით დაავადებული ცხოველები გამოყოფენ ბრუცელებს რძესთან და შარდთან ერთად. ავადმყოფი ცხოველების მიერ აბორტისას და მშობიარობისას, აგრეთვე რძესთან ერთად დიდი რაოდენობით ბრუცელების გამოყოფა შიდა მეურნეობებსა და ფერმებში ბრუცელოზის გავრცელების ძირითადი ფაქტორია. ბრუცელოზით დაავადებულ ცხოველებს აბორტის გარდა შეიძლება აღენიშნებოდეთ ართრიტი, ტენდოვაგინიტი, ბურსიტი, მასტიტი და სასქესო ორგანოების ანთება (მდედრებს – ენდომეტრიტი და ვაგინიტი, მამრებს კი ორქიტი და ეპიდდიმიტი). ცხოველებში ბრუცელოზი შეიძლება მიმდინარეობდეს

ლატენტურად და გამოვლინდეს მხოლოდ სპეციალური გამოკვლევის შედეგად. ზოგიერთი ცხოველი შეიძლება იყოს ბრუცელოზის მტარებელი და გამოყოფდეს ბრუცელებს ხუთი და მეტი წლის მანძილზე.^{32,33}

2.4. ბრუცელოზის კლინიკა

ბრუცელები ადამიანის ორგანიზმში აღწევენ დაზიანებული კანის საფარველის ან ლორწოვანი გარსების საშუალებით. კანისა ან ლორწოვანი გარსების გავლის შემდეგ ბრუცელას შთანთქავენ პოლიმორფონუკლეარული ან მონონუკლეარული ფაგოციტები. მიკროორგანიზმს შეუძლია აიცილოს ფაგოციტების მომაკვდინებელი მოქმედება ამ უკანასკნელში მიმდინარე ფაგოსომ-ლიზოსომური დაშლის ინჰიბირებით. ლიმფოგენური გზით ბრუცელები აღწევენ ლიმფურ კვანძებამდე და იქ მრავლდებიან. ინფექციის მიმდინარეობის აღნიშნულ ფაზას ეწოდება ლიმფოგენური და შეესაბამება დაავადების ინკუბაციურ პერიოდს, რომელიც საშუალოდ 1-4 კვირა გრძელდება. იშვიათად შეიძლება 2-3 თვემდეც გაგრძელდეს¹⁸.

ბრუცელოზის საწყის სტადიაში პაციენტებს ხშირად აღინიშნებათ ბაქტერიემია, რაც შესაძლებელს ხდის სისხლიდან კულტურის მიღების.³⁴

განასხვავებენ ბრუცელოზის ოთხ კლინიკურ ფორმას: მწვავე (ხანგრძლივობა 1,5 თვემდე), ქვემწვავეს (4 თვემდე), ქრონიკულს (4 თვეზე მეტი) და რეზიდუალურს. ბრუცელოზით დაავადებულებს შესაძლებელია განუვითარდეთ ნეფრიტი³⁵ მენინგიტი³⁶ და ეპიდენდემორქიტი.^{37,38,39} ბრუცელოზით დაავადებულთა გარდაცვალების ძირითადი მიზეზია გულ-სისხლძარღვთა პათოლოგია (უპირატესად ენდოკარდიტი, პერიფერიული და ცერებროვასკულარული ანევრიზმა, არტერიული და ვენური თრომბოზები.⁴⁰

ბრუცელოზის დროს ჰემოგრამაში აღინიშნება შემდეგი ცვლილებები: ლეიკოპენია, შედარებითი ლიმფოციტოზი, მონოციტოზი, ტრომბოციტოპენია და ზომიერად მომატებული ედს-ი.¹⁷

მწვავე ბრუცელოზით დაავადებულთა ოჯახის წევრებს, მსგავსი კვების რაციონის გამო, ბრუცელოზით დაინფიცირების მაღალი რისკი გააჩნიათ, რაზეც მიუთითებს საუდის არაბეთში, თურქეთსა და ირანში ჩატარებული კვლევები.^{41,42,43,44,45}

ადამიანიდან ადამიანზე ბრუცელოზის გადაცემის შემთხვევები ძალიან იშვიათია. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ბრუცელოზის გადაცემა სქესობრივი გზით,⁴⁶ სისხლის გადასხმით,⁴⁷ ორგანოთა ტრანსპლანტაციით,⁴⁸ დედის რძით⁴⁹ და ტრანსპლაცენტარული.⁵⁰

ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს ქალებში ორსულობაზე ბრუცელოზის გავლენის შესახებ. პავანის (Pavan) აზრით, ბრუცელოზის გამო ნაადრევი მშობიარობის და აბორტების რისკი მცირეა, რადგან ცხოველების პლაცენტისაგან განსხვავებით, ადამიანის პლაცენტა არ შეიცავს ერითროცტს, რომელიც ბრუცელების ცხოველმყოფელობის სტიმულატორია⁵¹. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრების სამეცნიერო პუბლიკაციებიც.⁵² გუსლუნის (Gulsun) კვლევებმა აჩვენა, რომ ბრუცელოზმა შეიძლება გამოიწვიოს ნაადრევი მშობიარობა, ქორიოამნიონიტი და მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტი. ჩამოთვლილ პათოლოგიათა პრევენცია შესაძლებელია ბრუცელოზის მკურნალობით.⁵³

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) განსაზღვრების მიხედვით ბრუცელას ექსპოზიციის რისკი შეიძლება იყოს მხოლოდ მაღალი ან საშუალო. ექსპოზიციის მაღალ რისკს მიეკუთვნება უშუალო კონტაქტი ბრუცელასთან. მაგალითად, ლაბორატორიაში ბრუცელას შტამებზე მუშაობა ბიოუსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვის გარეშე.⁵⁴

ბრუცელოზი არაიშვიათად ლაბორატორიულ კვლევებთან ასოცირებული ინფექციაა.^{55,56,57,58} ბრუცელას მახასიათებლები განაპირობებენ ლაბორატორიულ პირობებში პერსონალის ბრუცელოზით დაავადებას. *Brucella spp.* ადვილად გადადის აეროზოლურ მდგომარეობაში და გააჩნია მაინფიცირებელი დოზა 10-100 მიკროორგანიზმი.⁵⁹ ქვეყნებში (მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატები), სადაც იშვიათია მოსახლეობის ბრუცელოზით დაავადება, სამედიცინო და ლაბორატორიული პერსონალი შესაძლებელია ნაკლებად

იცნობდეს დაავადების კლინიკურ ნიშნებსა და ბრუცელას მახასიათებლებს, რამაც შეიძლება განაპირობოს ბრუცელოზის ლაბორატორიულ კვლევებთან ასოცირებული ინფექცია.^{60,61,62}

2.5. ბრუცელოზის გავრცელება მსოფლიოში

ადამიანებში ბრუცელოზის კლინიკური შემთხვევები უპირატესად აღირიცხება ახლო აღმოსავლეთში,^{63,64,65,66,67,68,69} აზიაში,^{70,71,72,73,74,75,76} აფრიკაში,^{77,78,79,80,81,82,83,84} სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში^{85,86}, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებსა^{87,88,89,90} და კარიბის ზღვის კუნძულებზე.⁹¹

ცხრილი 3. ბრუცელოზის ინციდენტობა ქვეყნების მიხედვით⁹²

ქვეყანა	კვლევის დონე	(100 000 მოსახლეზე)
ჩრდილოეთ აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი		
ეგვიპტე	სუბ-ნაციონალური	0.28-70.00
ერაყი	სუბ-ნაციონალური	52.29-268.81
ირანი	სუბ-ნაციონალური	0.73-141.60
იორდანია	ნაციონალური	25.70-130.00
ომანი	სუბ-ნაციონალური	11.01
პალესტინა	სუბ-ნაციონალური	8.00
საუდის არაბეთი	ნაციონალური	137.61
თურქეთი	სუბ-ნაციონალური	11.93-49.54
სუბ-საჰარული აფრიკა		
ჩადი	სუბ-ნაციონალური	34.86
დასავლეთ ევროპა		
გერმანია	ნაციონალური	0.03
საბერძნეთი	სუბ-ნაციონალური	4.00-32.49

იტალია	ნაციონალური	1.40
ცენტრალური აზია		
ყირგიზეთი	ნაციონალური	88.00
ცენტრალური და სამხრეთ ლათინური ამერიკა		
არგენტინა	სუბ-ნაციონალური	12.84
მექსიკა	სუბ-ნაციონალური	25.69
ჩრდილოეთ ამერიკა		
აშშ	სუბ-ნაციონალური	0.02-0.09

ბრუცელას სახეობების გეოგრაფიული გავრცელება განსხვავებულია. *B. abortus* უპირატესად გვხვდება იმ ქვეყნებში, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას მისდევენ. გარდა იმ ქვეყნებისა (კანადა, იაპონია, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ისრაელი), სადაც მოხდა ბრუცელოზის ერადიკაცია. *B. melitensis* ფართოდ გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნებში. *B. melitensis* მიერ გამოწვეული კლინიკური შემთხვევები ასევე აღინიშნება შუა აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, სპარსეთის ყურეში, ცენტრალური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, აფრიკასა და ინდოეთში. *B. melitensis* არ არის ენდემური სკანდინავიის ქვეყნებისთვის, ჩრდილოეთ ამერიკისთვის (გარდა მექსიკისა), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისთვის.¹⁹

B. ovis უპირატესად გავრცელებულია იმ ქვეყნებში, სადაც მეცხვარეობას მისდევენ (ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, სამხრეთ აფრიკა და ევროპის რამდენიმე ქვეყანა). უკანასკნელ წლებში *B. suis* გავრცელება აღინიშნება იმ ქვეყნებშიც, რომლებშიც მეღორეობას მისდევენ. ამასთან აშშ-ში, კანადასა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გატარებული პრევენციული ღონისძიებათა შედეგად, მოხდა შინაურ ღორებში *B. suis* ერადიკაცია, თუმცა გარეულ ღორებში იგი კვლავ ცირკულირებს. *B. suis* ბიოვარი 1 და 3 მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული, ხოლო სხვა ბიოვარებს გააჩნიათ

შეზღუდული გეოგრაფიული გავრცელება. ბიოვარი 2 უპირატესად გავრცელებულია ევროპაში, ბიოვარი 4 კი ჩრდილოეთ ამერიკისა და რუსეთის არქტიკულ რეგიონში (ციმბირის ჩათვლით), ალიასკასა და კანადაში.⁴¹ *B. canis* გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, გარდა ავტრალიისა და ახალი ზელანდიისა.⁹³

2.6. ბრუცელოზის გავრცელება საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში

რაც შეეხება ბრუცელოზის გავრცელებას საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში, სომხეთში, 1996-2005 წლებში, ადამიანის ბრუცელოზის ინციდენტობის საშუალო მაჩვენებელი 100.000 მოსახლეზე შეადგენდა 3,57. 2006 და 2007 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა (შესაბამისად 5,79 და 8,24). ამასთან, ზოგიერთი მკვლევარის აზრით მოსახლეობაში ბრუცელოზის გავრცელება ბევრად მაღალია, მაგრამ რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ხელმიუწვდომელია ბრუცელოზის ყველა შემთხვევის რეგისტრაცია არ ხდება.⁹⁴ სომხეთში ბრუცელოზის შემთხვევების 84,0% მოდის სოფლის მოსახლეობაზე, 16,0% კი ქალაქების მოსახლეობაზე. 2006/2007 წლებში, სომხეთში, Thibaud Porphyre-ს კვლევაში მონაწილე 858 შინამეურნეობიდან; 29,0%-ში აღინიშნა მსხვილფეხა რქოსანის პირუტყვის ბრუცელოზი, 21,0%-ში კი წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ბრუცელოზი.⁹⁵

აზერბაიჯანში ბრუცელოზის პირველი კლინიკური დიაგნოზი დაისვა 1922 წელს. შემდგომი 30 წლის განმავლობაში ბრუცელოზის გავრცელება აღინიშნა ამ ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 70%-ზე.⁹⁶ 1995 წლიდან 2009 წლამდე აზერბაიჯანში ბრუცელოზის 7.983 შემთხვევა დაფიქსირდა. აღნიშნულ პერიოდში ბრუცელოზის ყოველწლიური შემთხვევების რიცხვი მერყეობს 392-დან (2009 წელი) 756-მდე (1996 წელი). 15 წლის მანძილზე აზერბაიჯანის 66 რაიონიდან 65%-ში ყოველწლიურად ფიქსირდებოდა ადამიანის ბრუცელოზის ერთი შემთხვევა მაინც. აზერბაიჯანშიც

ბრუცელოზს ახასიათებს სეზონურობა. ყველაზე ხშირია შემთხვევები ზაფხულში, შემდეგ კი გაზაფხულზე.⁹⁷

ბრუცელოზი თურქეთში ენდემური დაავადებაა და ყოველწლიურად საშუალოდ 10.000 შემთხვევა რეგისტრირდება. ოფიციალურად, ინციდენტობა მილიონ მოსახლეზე არის 150.⁹⁸ თურქეთის სხვადასხვა რეგიონში ბრუცელოზის პრევალენტობა სხვადასხვაა, რაც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა კვების თავისებურებები, რძის გადამუშავების მეთოდები, კლიმატური პირობები და სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები. თურქეთში 1986 წლიდან 2004 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა ბრუცელოზის ინციდენტობა (100.000 მოსახლეზე შესაბამისად 3,03 და 25,65). 2004 წლიდან დაიწყო პროფილაქტიკური ღონისძიებების (წვრილფეხა და მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაცია, მოსახლეობის განათლება ბრუცელოზის საკითხებზე) გატარება, რამაც რამდენიმე წლის მანძილზე მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობაში ბრუცელოზის შემთხვევები (2004 წელს ბრუცელოზის შემთხვევები – 18.563, 2008 წელს - 9,818).⁹⁹

ოფიციალურად, რუსეთის ფედერაციაში ბრუცელოზის პრევალენტობა 0,3-0,4 შემთხვევაა 100.000 მოსახლეზე. რეალურად აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. ამასთან, ოფიციალურად რეგისტრირდება მხოლოდ მწვავე ბრუცელოზის შემთხვევები. ბრუცელოზის სხვა ფორმების რეგისტრაცია საერთოდ არ წარმოებს. შესაბამისად არ არსებობს რუსეთის ფედერაციაში ბრუცელოზის გავრცელების რეალური მონაცემები. ბრუცელოზის, როგორც ეპიდემიოლოგიური, ასევე ეპიზოოტოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა ციმბირის ფედერალურ ოლქში და საქართველოს მეზობელ რეგიონებში - დაღესტნის რესპუბლიკა, ყალმუხეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და სტავროპოლის მხარე. ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებზე მოდის რუსეთის ფედერაციის მოსახლეობაში ოფიციალურად რეგისტრირებული ბრუცელოზის 72,7%. აღნიშნულ რეგიონებზე მოდის რუსეთის

ფედერაციაში ბრუცელოზით დაავადებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 78,8% და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის 77,4%.¹⁰⁰.

ირანის სხვადასხვა რაიონებში ბრუცელოზის გავრცელება მერყეობს 0,5%-დან 10,9%-მდე.⁴⁴

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ბრუცელოზით ავადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ყირგიზეთში, სადაც 2007 წელს, 100.000 მოსახლეზე რეგისტრირებული იყო ბრუცელოზის 77.5 ახალი შემთხვევა, რაც მსოფლიოში ბრუცელოზის ინციდენტობის ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია. ყირგიზეთში ჩატარებულმა ეროვნულმა გამჭოლი კვებით კვლევამ აჩვენა, რომ ბრუცელოზის მიმართ სეროპრევალენტობა მოსახლეობაში შეადგენს 8,8% (95%, CI: 4,5-16,5%), მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში – 2,8% (95%, CI: 1,6-4,9%), ცხვრებში – 3,3% (95%, CI: 1,5-6,9%), თხეებში – 2,5% (95%, CI: 1,4-4,5%). ადამიანებში სეროპოზიტიურობის მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა განპირობებულია ცხვრების და თხების პრევალენტობით. ყოველწლიურად სეროლოგიური ტესტების საშუალებით გამოვლენილი ბრუცელოზის შემთხვევები ათჯერ მეტია, ვიდრე რეგისტრირებული კლინიკურად გამოვლენილი ბრუცელოზის შემთხვევები.⁷⁰

2.7. ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში

საქართველოში ბრუცელოზის პირველი შემთხვევა აღწერილ იქნა ნ. მახვილაძის მიერ 1921 წელს. ბრუცელას კულტურა კი პირველად გამოიყო 1923 წელს. საქართველოში მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო ბრუცელოზის გავრცელების ინტენსიური შესწავლა; მას შემდეგ რაც 1930 წლის გაზაფხულზე ნ. ტორჩინავას მიერ კახეთის რეგიონში გამოვლენილ იქნა ბრუცელოზის ენდემური კერა.¹⁰¹ საქართველოში მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე იშვიათად ხდებოდა ბრუცელოზით დაავადებულთაგან *B. abortus*-ის შტამების გამოყოფა.¹⁰²

დღემდე საქართველოში ბრუცელოზის კერები უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. დასავლეთ საქართველოში ბრუცელოზი შედარებით იშვიათია.^{103,101,104} XX საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში ბრუცელოზის შემთხვევების 98%-ზე მეტი აღინიშნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში. ა. ნავდარაშვილის მონაცემებით 1976-1990 წლებში ბრუცელოზის შემთხვევების 94,53% რეგისტრირებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, 5,47% კი დასავლეთ საქართველოში. 1991-2004 წლებში: აღმოსავლეთ საქართველოში - 96,68%, დასავლეთ საქართველოში - 3,32%. აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც XX საუკუნეში, ასევე უკანასკნელ წლებშიც, ბრუცელოზის მხრივ ყველზე მეტად გავრცელებულია კახეთის რეგიონში (დედოფლის წყაროს, ახმეტის და საგარეჯოს რაიონებში).^{105,106}

ვ. ანთაძის მონაცემებით, XX საუკუნის 50-იან წლებამდე თხებში დასავლეთ საქართველოში თითქმის არ გვხვდებოდა ბრუცელოზი, აღმოსავლეთ საქართველოში კი თხაც და ცხვარიც ბრუცელოზის ინფექციის წყარო იყო და საშიშროებას წარმოადგენდა მოსახლეობისათვის.¹⁰⁴

საქართველოში ბრუცელოზით ავადობას სეზონურობა ახასიათებს. დაავადებების შემთხვევები პიკს ივნის-ივლისში აღწევს. ბრუცელოზით უპირატესად ავადდებიან 20-50 წლის ასაკის მამაკაცები, რომელთა უმრავლესობაც დასაქმებულია მეცხოველეობაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობების ნაცვლად წარმოიქმნა კერძო ფერმერული მეურნეობები, გაუქმდა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური, შესუსტდა ვეტერინარული ზედამხედველობა, რაც ბრუცელოზის პროფილაქტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ყოველივე ამან გამოიწვია როგორც წვრილფეხა, ასევე მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში და, შესაბამისად, მოსახლეობაში დაავადების შემთხვევების მატება. 2008 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში ბრუცელოზზე გამოკვლეული 3082 მსხვილფეხა პირუტყვის სისხლის შრატადან, როზ-ბენგალის

დადებითი ტესტი აღმოჩნდა 348-ს (11,30%), 2009 წელს - 10.75% (6740/724), 2010 წელს - 9,61% (3654/351), 2011 წელს კი 13,36%-ს (1699/227).

2.8. ბრუცელოზის ვაქცინაცია

დღემდე, ადამიანების ბრუცელოზის პრევენციისათვის უსაფრთხო და მაღალი დამცველობითი თვისების მქონე ვაქცინა შემუშავებული არ არის. 1952 წელს საბჭოთა კავშირში ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის გამოყენებულ იქნა *B. abortus*-ის შტამი 19-BA. ვაქცინა ეფექტური იყო მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. მაქსიმალური ეფექტი აღინიშნებოდა მხოლოდ 5-6 თვის მანძილზე. აღნიშნული გარემოების გამო, სასურველი იყო, რომ ვაქცინაცია დამთხვეოდა ცხოველებში ბრუცელოზის სეზონურ პიკს. ზოგადად, მოზრდილები კანქვეშა ვაქცინაციას კარგად იტანდნენ, თუმცა დაახლოებით 76%-ს განუვითარდა ადგილობრივი რეაქციები (ჰიპერემია და ინდურაცია). ვაქცინირებულთა 3–7%-ს აღინიშნებოდა თავის ტკივილი, მილიანობა და ცხელება. ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ვაქცინა ეფექტური იყო ბრუცელოზის მაღალი რისკის რეგიონებში, სადაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბრუცელოზის შემთხვევები. ამასთან რევაქცინაცია იწვევდა ჰიპერმგრძობელობას და გააჩნდა უკუჩვენებები.¹⁰⁷

ჩინეთში ცოცხალ ატენუირებულ *B. abortus*-ის შტამს 104M იყენებდნენ ვაქცინაციისათვის.^{108,109,110} ის *B. abortus*-ის შტამ 19-BA-თან შედარებით უფრო მაღალი ვირულენტობით ხასიათდებოდა და იწვევდა სერიოზულ რეაქციებს.¹¹¹

2.9. ბრუცელოზის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა

დღეისათვის ბრუცელოზის დიაგნოსტიკის მრავალი მეთოდია გამოყენებული:

- ბაქტერიოლოგიური (კულტურის მიღება);

დაავადების ადრეულ სტადიაში პაციენტებში ხშირად აღინიშნება ბაქტერიემია, რომლის დროსაც შესაძლებელია სისხლიდან კულტურის მიღება.

- სეროლოგიური ანუ ბრუცელას საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა;

ბრუცელოზის დამადასტურებელ სეროლოგიური მეთოდებს მიკუთვნება: მინაზე აგლუტინაცია, სინჯარაში აგლუტინაცია და ELISA.

- დნმ-ის დეტექცია (მოლეკულური მეთოდები);

თანამედროვე მოლეკულური მეთოდები გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით და მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ბრუცელოზის დიაგნოსტიკაში.

1990 წელს დ. ფეკეტიმ (D. Fekete) პირველმა მოახდინა ბრუცელას დეტექცია პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის საშუალებით.

დიაგნოსტიკისთვის აგრეთვე გამოიყენება პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია რეალურ დროში (Real-time PCR), რომელიც ემყარება ჰიბრიდიზაციული ზონდების (HybProbe) ფლუორესცენტული რეზონანსული ენერჯის გადაცემის (fluorescence response energy transfer - FRET) პრინციპს. აღნიშნულ მეთოდს გააჩნია მაღალი სპეციფიკურობა და მიკრობის დეტექციის შესაძლებლობა ისეთ ნიმუშებში, სადაც მიკროორგანიზმის რაოდენობა სავარაუდოდ ძალიან დაბალია.

AMOS პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (პჯრ) საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ბრუცელას ოთხი სახეობის (*B. abortus*, *B. melitensis*, *B. ovis* და *B. suis*) დიფერენციაცია.¹¹²

2.10. ბრუცელას შტამების მოლეკულური გენოტიპირება

უკანასკნელ წლებში განვითარდა პოლიმერაზულ ჯაჭვურ რეაქციაზე (პჯრ) დაფუძნებული ანალიზები ბრუცელების მოლეკულური გენოტიპირებისათვის. მაგალითად, განმეორებადი გენთაშორისი პალინდრომული სექვენს-პჯრ,¹¹⁴ შემთხვევითად

ამპლიფიცირებული პოლიმორფული დნმ-PCR (RAPD-PCR),¹¹³ ამპლიფიცირებული ფრაგმენტის სიგრძის პოლიმორფიზმი (AFLP),¹¹⁵ ერთ-ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმი (SNP),^{116,117} და - რესტრიქციული ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმი (PCR-RFLP).¹¹⁸

მოლეკულური გენოტიპირების ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია დიდი რესტრიქციული ფრაგმენტების გელ-ელექტროფორეზი პულსირებად ველში (PFGE), რომელმაც, *B. Melitensis* შტამ 16M-ში გამოავლინა ორი დამოუკიდებელი ქრომოსომა; ზომით 2.12 და 1.15 მეგაბაზა.¹¹⁹ სრული გენომის სექვენირებამ აგრეთვე დაადასტურა ორი ქრომოსომის არსებობა. ორივე ქრომოსომას გააჩნია გუანინი + ციტოზინის თითქმის მსგავსი შემცველობა; პირველ ქრომოსომაში - 57.1%, მეორეში - 57.3%.¹²⁰ *B. suis* -ის ბიოვარი 3 იმით არის უნიკალური, რომ გააჩნია მხოლოდ ერთი ქრომოსომა, ზომით 3.1 მეგაბაზა.¹²¹

დნმ-დნმ გენომური ჰიბრიდიზაციის მიკროარეზების შედარებამ – *B. melitensis*, როგორც სუბსტრატი ბრუცელების სხვა ხუთი სახეობის მიმართ, აჩვენა, ბრუცელების ექვსივე სახეობის გენომების მსგავსება.¹¹

ბრუცელას შტამები საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით ყოველთვის საინტერესოა დაავადების პირველ წყაროს მიკვლევა. ამისთვის გამოიყენება მოლეკულური გენოტიპირების რამოდენიმე მეთოდი.

ბრუცელების დახასიათება სახეობის და ბიოვარის დონეზე შესაძლებელია სხვადასხვა მიკრობიოლოგიური კვლევებით.¹²² ამასთან, ბიოტიპირების ეს მეთოდები დიდ დროს მოითხოვს და პოტენციურად საშიშია ლაბორატორიის პერსონალისთვის. ზოგიერთ სახეობასა და ბიოვარს შორის შეზღუდულმა ვარიაციებმა კი შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები და გაართულოს მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია.¹²³ სწორედ ამიტომ ბიოტიპირების ბაქტერიოლოგიური მეთოდები ნაკლებად გამოიყენება იმ ეპიდემიოლოგიური კვლევებისათვის, სადაც აუცილებელია ბრუცელოზის გამომწვევის უფრო ზუსტი იდენტიფიკაცია. აქედან გამომდინარე,


მიზანშეწონილია პათოგენის გენეტიკური დახასიათება თანამედროვე დნმ ტექნოლოგიების საშუალებით და სუბტიპირება სხვადასხვა მოლეკულურ-ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. ერთ–ერთი ასეთი მეთოდია მრავლობითი ლოკუსების ტანდემურად განმეორებადი თანმიმდევრობების ცვლადი რაოდენობის ანალიზი (Multi Locus Variable-Number Tandem Repeat Analysis - MLVA). რაც მდგომარეობს ბრუცელას გენომის სხვადასხვა ლოკუსში ტანდემური განმეორებადი თანმიმდევრობების რაოდენობების შედარებაში. ეს საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ იზოლატების წარმომავლობას, ან დავადგინოთ აფეთქების წყარო და ხელი შევუწყოთ ეპიდემიოლოგიურ კვლევას. ეს მეთოდი შტამებს შორის ყველაზე მაღალი გარჩევადობის უნარით ხასიათდება და *Brucella*-ს ქვესახეობების კლასიფიკაციის, პოპულაციის სტრუქტურისა და ნაწილობრივი ფილოგენეტიკური კავშირების სურათს იძლევა.^{124,125,126,127,}

128

შტამების ევოლუციური პროცესის შესწავლის, ანუ მისი ფილოგენეტიკური ანალიზისათვის მრავალფეროვნება შესაძლოა ხელისშემშლელიც აღმოჩნდეს, რადგან ხშირად თავს იჩენს ე.წ. ჰომოპლაზია, მოვლენა, რომლის დროსაც ფილოგენეტიკურად ახლოს მდგომ შტამებს შესაძლოა საკმაოდ განსხვავებული MLVA პროფილები ჰქონდეთ, და პირიქით, ერთმანეთისაგან ფრიად დაშორებული და ამავდროულად მსგავსი ევოლუციური წარსულის მქონე შტამები მხოლოდ MLVA ტიპირებაზე დაყრდნობით შესაძლებელია ერთ ან ახლო მდგომ ჯგუფებში მოხვდნენ.¹²⁹ სხვადასხვა პათოგენების პოპულაციის სტრუქტურის უფრო ღრმა ანალიზისა და მისი გლობალური გავრცელების ისტორიულ პროცესზე დაკვირვების მიზნით გამოიყენება ერთ-ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმის (SNP) მეთოდი.^{130,131} ჩრდილოეთ არიზონის უნივერსიტეტის (აშშ) მიკრობული გენეტიკისა და გენომიკის ლაბორატორიის მეცნიერთა ჯგუფის მიერ ბრუცელას შტამები გამოკვლეულ იქნა SNP მეთოდით.¹³² თავდაპირველად მოხდა ბრუცელას შტამების სრული გენომური თანმიმდევრობის ერთმანეთთან შედარება. შერჩეული შტამების გენომების შედარების შედეგად აღმოჩენილი და ამორჩეული SNP ლოკუსების საფუძველზე აიგო მაღალი სიზუსტის ფილოგენეტიკური ხე (სურათი #1),


თითოეული მიღებული ქვეჯგუფისათვის მოხდა თითო სპეციფიკური SNP ლოკუსის შერჩევა, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა კანონიკური SNP ტესტი, რომელიც გამოყენებულ იქნა ბრუცელას გენეტიკურად და გეოგრაფიულად განსხვავებული შტამების ტიპირებისა და ქვეჯგუფების შიგნით დამატებითი ფილოგენეტიკური სტრუქტურის განსაზღვრისათვის.¹³⁰

სურათი #1



ბრუცელების ხუთი სახეობის (*B. abortus*, *B. melitensis*, *B. suis*, *B. canis* და *B. ovis*) ტაქსონომიური და ევოლუციური კავშირის დასადგენად ჯეფრი ფორსტერის (Jeffrey Foster) მიერ შედარდა *B. suis*-ის ხუთი, *B. abortus*-ის და *B. melitensis* სამ-სამი, *B. canis* და *B. ovis* თითო-თითო შტამის სრული გენომური სექვენსი. მოლეკულური საათის გამოყენებით დადგინდა, რომ ბრუცელას სახეობების უმრავლესობა განსხვავდება მათი საერთო *B. ovis* წინაპრისაგან (დაახლოებით 200-300 ათასი წლის წინ), რაც წინ უსწრებდა პირუტყვის მოშინაურებას.¹³²

სურათი #2. ბრუცელას 5 სახეობისა და 13 შტამის ფილოგენეტიკური ხე



დღეისთვის შესწავლილია ბრუცელას 13 შტამის გენომი.^{132,133} მათ შორის ექსპერიმენტალური ბრუცელოზის გამომწვევი *B. abortus*-ის შტამის 2308 და სავაქცინო შტამის S19 გენომები.^{134,135} აღნიშნულმა კვლევებმა გააღრმავეს ცოდნა ბრუცელების ტაქსონომიის, სხვადასხვა სახეობებისა და ბიოვარების გენომის შესახებ, მათი ფილოგენეტიკური ურთიერთკავშირის და შესაძლო კავშირი წინაპარ შტამებთან.

ჩეინის (Chain) და ჰალინგის (Halling) მიერ ჩატარებულმა *B. abortus* და *B. melitensis* შტამების სრულმა გენომურმა სექვენსმა აჩვენა მათ შორის ახლო კავშირი.^{134, 112}

ბრუცელას შტამების გენომების შედარებით გამოვლინდა 20,154 ერთ-ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმი, რომელიც დამახასიათებელია ყველა გენომისათვის.¹³²

3. კვლევის მასალა და მეთოდები

3.1. შემოსული ნიმუშების პირველადი დამუშავება

ნიმუშების შეგროვება წარმოებდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრტელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) და აშშ-ს საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ ერთობლივად შემუშავებული და დამტკიცებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) შესაბამისად.

კვლევის ყველა ეტაპი ტარდებოდა ბიოუსაფრთხოების სტანდარტების მკაცრი დაცვით. *Brucella spp.* განსაკუთრებით საშიში პათოგენების ჯგუფშია გაერთიანებული და ამიტომ ინფიცირებულ მასალის კვლევასთან დაკავშირებული პროცედურები ტარდებოდა ბიოუსაფრთხოები მესამე დონის ლაბორატორიაში (BSL-3), პერსონალური დაცვის საშუალებების (PPE) გამოყენებით. კვლევები ტარდებოდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) და აშშ საფრთხის შემცირების სააგენტოს რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული ალგორითმების შესაბამისად. ლაბორატორიული კვლევის

შედგები შეგვქონდა დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (EIDSS).

საწყის ეტაპზე ადამიანის კლინიკური და შინაური ცხოველების (ძროხა, ცხვარი, თხა) ნიმუშები ითესებოდა სხვადასხვა საკვებ ნიაგადზე (მოდულიცირებული ტაიერ-მარტინისა და ბრუცელას სელექტიური ფარელის აგარი). ყოველი პაციენტის შრატის გამოკვლევა ხდებოდა სეროლოგიურად, *Brucella spp.*-ს საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობაზე.

იზოლირებული ბრუცელას შტამების დამადასტურებელი დიაგნოსტიკისათვის გამოიყენებოდა სეროლოგიური (აგლუტინაცია სინჯარაში) და მოლეკულური (პჯრ) მეთოდები.

ბოლო ეტაპზე ხდებოდა უკვე დადასტურებული *Brucella*-ს შტამების სხვადასხვა მოლეკულური მეთოდით გენოტიპირება (AMOS PCR, Bruceladder PCR, MLVA და SNP).

3.2. სეროლოგიური დიაგნოსტიკა

აგლუტინაცია სინჯარაში

ბრუცელოზის სეროლოგიური დიაგნოსტიკისათვის ანტიგენის სახით გამოიყენებოდა Becton Dickinson-ის ნაკრები.

პაციენტისგან აღებული სისხლის შრატი იტიტრებოდა 8 სინჯარაში: 200 მკლ (ul) შრატს ემატებოდა 800 მკლ ფიზიოლოგიური ხსნარი, ერეოდა პიპეტირებით, 500 მკლ ოდენობით გადაიტანებოდა ახალ სინჯარაში მოთავსებულ 500 მკლ ფიზიოლოგიურ ხსნარში და ა.შ. ყველა განზავებას ემატებოდა 500 მკლ ანტიგენი 1:50 განზავებით და 48 საათით იდგმებოდა თერმოსტატში 37°C-ზე. შრატში *Brucella*-ს საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობის შემთხვევაში სინჯარის ძირზე ჩნდებოდა ქოლგისებური ნალექი.

3.3. ბაქტერიოლოგიური კვლევები

ცხოველური ნიმუშების კვლევა

ბრუცელების იზოლირებისათვის სისხლის შრატების (სეროლოგიურად როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) ნიმუშების 100-100 მკლ, ხოლო რძის ნიმუშებს – 200-250 მკლ ითესებოდა არასელექტიურ შოკოლადისებრ, 5%-იან ცხვრის სისხლიან აგარზე; აგრეთვე ფარელის და თაიერ-მარტინის ნიადაგებზე. ნათესების ინკუბაცია ხდებოდა თერმოსტატში 37°C-ზე, 5%-იან CO₂ გარემოში და დაკვირვება გრძელდებოდა 28 დღის განმავლობაში. იზოლატების იდენტიფიცირება ხდებოდა მორფოლოგიური, ბიოქიმიური და სეროლოგიური ტესტებით.


კლინიკური ნიმუშების კვლევა

სისხლის ნიმუშების 10 მკლ ითესებოდა თხევად საკვებ ნიადაგში (BD Bactec Blood Cძკulture Systems, Sparks, MD, USA) და ყოველ მე-5 დღეს ხდებოდა ამოთესვა მყარ საკვებ ნიადაგებზე 28 დღის განმავლობაში. ნათესების ინკუბაცია ხდებოდა 37°C-ზე, 5% CO₂ გარემოში. ამოთესვის შედეგები აღირიცხებოდა 5-10 დღის განმავლობაში.

ბრუცელების მორფოლოგიური და ბიოქიმიური თვისებების შესწავლა

გამოყოფილი ბრუცელას შტამების მორფოლოგიის შესასწავლად გამოიყენებოდა მიკროსკოპიის მეთოდი. მეთანოლში ფიქსირებულ ნაცხები იღებებოდა გრამის წესით (BD Becton Dickinson and Company, Sparks, Maryland, USA), მწარმოებლის მითითების შესაბამისად. პრეპარატში აღინიშნებოდა ბრუცელასთვის დამახასიათებელი ტიპური, გრამ-უარყოფითი; წვრილი, კოკობაცილები. (სურათი #3).

სურათი # 3. ბრუცელების მორფოლოგია



ბიოქიმიური აქტივობის შესწავლა ხდებოდა შემდეგი ბიოქიმიური ტესტების საშუალებით: დექსტროზას, ლაქტოზას და საქაროზას მეტაბოლიზმი, გოგირდწყალბადის წარმოქმნა, ოქსიდაზას, ურეაზას და კატალაზას ტესტები.

ბრუცელას სახეობათა იდენტიფიკაციისთვის გამოიყენებოდა გოგირდწყალბადის წარმოქმნისა და შაქრების მეტაბოლიზმის ტესტი.

აკრიფლავინის ტესტი გამოიყენებოდა გლუვი და ხორკლიანი კოლონიების წარმომქმნელი მიკროორგანიზმების დიფერენცირებისათვის.

ბრუცელას სახეობათა იდენტიფიკაციისათვის გამოიყენებოდა თიონინისა და ფუპე ფუქსინის საღებავიანი ნიადაგები.

B. melitensis, *B. canis*, *B. suis* და *B. ovis* სახეობების შტამები იზრდებოდნენ თიონინის შემცველ ნიადაგზე, ხოლო *B. neotomae*-ს და *B. abortus*-ის შტამების მიმართ თიონინს მაინჰიბირებელი მოქმედება გააჩნდა. ფუპე ფუქსინის შემცველ ნიადაგებზე ზრდა ახასიათებდა *B. melitensis*-ს და *B. abortus*-ს, ხოლო ბრუცელების სხვა სახეობებს ზრდა აღნიშნული საღებავის ზეგავლენით ითრგუნებოდა.

3.4. მოლეკულური კვლევები

3.4.1. დნმ-ის ექსტრაქცია

Brucella-ს შტამების დნმ-ის ექსტრაქცია ტარდებოდა დნმ-ის გამომყოფი ნაკრების (DNA Mini Kit, Qiagen) საშუალებით. პროცედურები სრულდებოდა მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად:

1. ნიმუშის (ბრუცელას იზოლატი გახსნილი PBS ბუფერში) 200 მკლ-ს ემატებოდა 20 მკლ პროტეინაზა K-ს და 200 მკლ ლიზისის ბუფერი (AL); ნარევის შენჯღრევის შემდეგ ხდებოდა მისი ინკუბაცია 56°C-ზე 10წთ-ის განმავლობაში;
2. ინკუბაციის შემდეგ ნარევის ემატებოდა 200 მკლ ეთილის სპირტი, გადაგვექონდა მემბრანის სვეტზე და 1 წუთის განმავლობაში ცენტრიფუგირდებოდა 8000 ბრ/წთ. შედეგად საკვლევი ნიმუშის დნმ-ი რჩებოდა სვეტის მემბრანაზე;
3. ლიზატის მინარევების მოშორების მიზნით სვეტს ემატებოდა 500 მკლ პირველი გამრეცხი ბუფერი (AW1) და ხდებოდა ცენტრიფუგირება 8000 ბრ/წთ, 1 წთ;
4. სვეტს ემატებოდა 500 მკლ მეორე გამრეცხი ბუფერი (AW2) და ცენტრიფუგირდებოდა მაქსიმალურ სიჩქარეზე 14000 ბრ/წთ, 3 წთ;
5. სუფთა სინჯარში გადატანის შემდეგ სვეტს ემატებოდა 200 მკლ ელუციის (გამხსნელი) ბუფერი (AE), რომელიც ინკუბირდებოდა ოთახის ტემპერატურაზე 1 წთ და ცენტრიფუგირდებოდა 8000 ბრ/წთ, 1 წთ; მიღებული ექსტრაქტი შეიცავდა სუფთა დნმ-ს, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახებოდა -20°C-ზე;
6. დნმ-ს უტარდებოდა სტერილობის ტესტი: დნმ-ის ხსნარის 10 მკლ ეწვეთებოდა შოკოლადისებრ აგარზე და ინკუბირდებოდა 37°C-ზე, 72 სთ-ის განმავლობაში.

3.4.2. პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია რეალურ დროში

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისთვის რეალურ დროში, გამოიყენებოდა *Brucella*-ს სადიაგნოსტიკო ნაკრები (*Brucella* DetectionKit, Idaho Technology, Target2), რომელიც ემყარება ჰიბრიდიზაციული სინჯების პრინციპს. რეაქცია მიმდინარეობდა კაპილარულ თერმოციკლერში ექვსი ფლუორესცენტული ოპტიკური არხით (Light Cycler 2.0, Roche). 40


მკლ დნმ-ი ემატებოდა მშრალ სარეაქციო არეს, რომელიც შეიცავდა ამპლიფიკაციისათვის აუცილებელ Mg+2-ის იონებს, Taq-პოლიმერაზას, სპეციფიკური უზნის პრაიმერებსა და ფლორესცენტული საღებავით მონიშნულ ზონდს. ნარევი თანაბრად ნაწილდებოდა ორ კაპილარში და იდგმებოდა ამპლიფიკატორში შემდეგი სარეაქციო პირობებით (ცხრილი #4)

ცხრილი 4. პჯრ-ის პირობები

საწყისი დენატურაცია	95°C	2 წთ	45 ციკლი
დენატურაცია	95°C	1 წმ	
ამპლიფიკაცია	60°C	20 წმ	

შედეგების ვიზუალიზაცია რეაქციის მიმდინარეობის პარალელურად ხდებოდა, ხოლო მათი საბოლოო შეფასება რეაქციის დასრულებისთანავე იყო შესაძლებელი. რეაქციის სრული დრო 30 წუთს შეადგენდა.

სურათი #4. *Brucella spp.*-ს პჯრ რეალურ დროში



3.4.3. AMOS პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (AMOS პჯრ)

AMOS პჯრ ბრუცელას შტამების ტიპირების ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც გამოიყენება ბრუცელას სახეობების დასადგენად. აღნიშნული რეაქცია პირველად დაინერგა 1994 წელს ცხოველთა დაავადების ეროვნულ ცენტრში (National Animal Disease Center) ბრიკერისა და ჰალინგის (Bricker, Halling) მიერ. AMOS არის აკრონიმი ბრუცელას იმ ოთხი სახეობისა (*B. abortus*, *B. melitensis*, *B. ovis* და *B. suis*), რომელთა დატიპირებაც შესაძლებელია აღნიშნული მეთოდით. აღნიშნულ პჯრ-ში რევერსული პრაიმერის სამიზნე არის ბრუცელა სპეციფიკური IS711 ინსერციული ელემენტი (ჩართული თანმიმდევრობა) და ოთხი სხვადასხვა სახეობა სპეციფიკური ფორვარდ პრაიმერი (Bricker B. და Halling S, 1994).

IS711 ფორვარდ (F) პრაიმერი: 5' – TGCCGATCACTTAAGGGCCTTCAT – 3'

B. abortus რევერს (R) პრაიმერი: 5' – GACGAACGGAATTTTTCCAATCCC – 3'

B. melitensis R პრაიმერი: 5' – AAATCGCGTCCTTGCTGGTCTGA – 3'

B. ovis R პრაიმერი: 5' – CGGGTTCTGGCACCATCGTCG – 3'

B. suis R პრაიმერი: 5' – GCGCGGTTTTCTGAAGGTTTCAGG – 3'

ბრუცელას სახეობების იდენტიფიკაცია ხდებოდა სახეობასპეციფიური ფრაგმენტების ზომის მიხედვით.

რეაქცია მიმდინარეობდა თერმოციკლერში (Techne TC-5 000 Thermal Cycler). 1მკლ დნმ-ს ემატებოდა 24 მკლ სარეაქციო არეს, რომელიც შეიცავდა: Taq PCR Master Mix Kit 2X ბუფერს (Qiagen), რომელიც შედგება: Taq-დნმ პოლიმერაზას (Taq DNA Polymerase), 3 მკმოლი (mM), Mg²⁺ იონების (MgCl₂), ნუკლეოტიდების ნარევისაგან (dNTPmix- dATP/dCTP/dGTP/dTTP, თითოეულის კონცენტრაცია 400 მკმოლი) და 1მკლ 15 პრაიმერის (*B. abortus*, *B. melitensis*, *B. ovis*, *B. suis* და IS711) ნარევისაგან. სარეაქციო არეს საბოლოო მოცულობა შეადგენდა 25 მკლ.

ნარევი ნაწილდებოდა 0.2 მკლ-იან სინჯარებში და იდგმებოდა თერმოციკლერში შემდეგი სარეაქციო პირობებით (ცხრილი #5).

ცხრილი 5. AMOS პჯრ-ს პირობები

საწყისი დენატურაცია	94°C – 2 წთ
დენატურაცია	94°C – 30 წმ
გამოწვა	55.5°C - 30 წმ
ამპლიფიკაცია	72°C - 30 წმ
საბოლოო ელონგაცია	72°C – 2წთ
დაყოვნება	4°C

დენატურაცია და ამპლიფიკაციის ციკლი მეორდება 35-ჯერ.

პჯრ-ის შედეგად მიღებული დნმ-ის ფრაგმენტების ვიზუალიზაცია და ანალიზი წარმოებდა გელ-ელექტროფორეზის საშუალებით.

- 1,2%-იანი აგაროზის გელი მზადდებოდა 1xTBE ბუფერში და ისხმევოდა გელის ყალიბში;
- გელის სასტარტო მხარეს თავსდებოდა ე. წ. ”სავარცხელი”. გელის გამყარების შემდეგ მათი ამოღების შედეგად წარმოიქმნებოდა ფოსოები;
- თითოეულ ფოსოში შეგვქონდა გელში ჩასატვირთ საღებავთან (6x Gel loading blue) წინასწარ შერეული, 10µl მოცულობის, საკვლევი, საკონტროლო უარყოფითი და დადებითი ნიმუშები;
- ნიმუშების პარალელურად გელის საწყის და საბოლოო ფოსოში შეგვქონდა 2 µl 100bp მოლეკულური ზომის მარკერი (DNA Ladder);
- გელი თავსდებოდა ელექტროფორეზის აპარატში, ემატებოდა 1xTBE ბუფერი (გელის სრულად დაფარვამდე) და აპარატი უერთდებოდა დენის წყაროს (120V; 100mA), 40 წთ-ით;
- ელექტროფორეზის დამთავრების შემდეგ გელი იღებებოდა ეთიდიუმ ბრომიდის ხსნარით (100 მკლ/ლ) 10–15 წთ-ის განმავლობაში და ირეცხებოდა სტერილური წყლით;
- მიღებული პროფილის ვიზუალიზაცია ხდებოდა ტრანსილუმინატორზე, ულტრაიისფერი გამოსხივების (სპექტრი 290-330ნმ) საშუალებით.

ბრუცელას სახეობები დგინდებოდა წინასწარ ცნობილი, ამპლიფიცირებული პროდუქტის მოლეკულური წონის მიხედვით:

B. abortus (ბიოვარი 1, 2 და 4) - 498 bp

B. melitensis - 731 bp

B. ovis - 976 bp

B. suis - 285 bp

3.4.4. ერთ-ნუკლეოტიდური პოლიმორფიზმი (SNP)

B. abortus-ის ზოგიერთი ბიოვარის გამოვლენისათვის გამოვიყენეთ SNP ტიპირება, რისთვისაც თითოეული ნიმუშის სამ ლოკუსზე იდგმებოდა პჯრ.¹¹⁷

- *Glk* (glucokinase)
- *Omp* (omp – 25 kDa outer membrane proteine)
- *Trp* (anthranilate synthas)

ცხრილი #6 პრაიმერების სექვენსი, გამოყენებული SNP ტიპირებისთვის

1. პრაიმერის დასახელება	2. პრაიმერის თანმიმდევრობა(5'-3')
<i>glk</i> up	5'-TATGGAAMAGATCGGCCGG-3'
<i>glk</i> down	5'-GGGCCTTGTCTCGAAGG-3'
<i>omp25</i> up	5'-ATGCGCACTCTTAAGTCTC-3'
1. პრაიმერის დასახელება	2. პრაიმერის თანმიმდევრობა(5'-3')
<i>omp25</i> down	5'-GCCSAGGATGTTGTCCGT-3'
<i>trpE</i> up	5'-GCGCGCMTGGTATGGCG-3'
<i>trpE</i> down	5'-CKCSCCGCCATAGGCTTC-3'
<u>ერთი ნუკლეოტიდით დაგრძელება</u>	
glk196R (<i>glk</i> -1344)	5_-CGCTAAGAATTTGYTCGCCGG-3_

glk427R (<i>glk</i> -1557)	5_-TTTTTTTTTTTGAAAGGATGCGCAC CGGGATGC-3_
glk255R (<i>glk</i> -1403)	5_-TTTTTTTTTTTTTTTTTTTTTTAGGGTG GGCGTGATCTTGTCGGC-3_
omp151F (<i>omp</i> 25-3627)	5_-TGGCTATACCGGTCTTACCTTGG CTA-3_
omp239F (<i>omp</i> 25-3715)	5_-TTTTTTTTTTTTTTTTTTCTTTGCTGG CTGGAACCTCCAG-3_
trp290R (<i>trpE</i> -2858)	5_-TTTTTTTTTTTTTTTTTTTTTTTTTTT TGAAACCTTGGCGCCCGTCTGG-3_

SNP ტიპირების მეთოდი შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან:

პირველი ეტაპი: პჯრ

პჯრ-ისთვის გამოიყენებოდა Invitrogen-ისნაკრები (Platinum PCR SuperMix High Fidelity), 1.1X ბუფერთ (Invitrogen PCR 1.1X buffer), რომელიც შედგება:

- Taq-დნმ პოლიმერაზა;
- Pyrococcus სახეობის GB-D თერმოსტაბილურიპოლიმერაზა (Pyrococcus species GB-D thermostable polymerase);
- პლატინუმ-ტაკ ანტისხეულები (Platinum Taq Antibody);
- 66 მკმოლი Tris-SO4 (pH – 8.9), 19.8 მკმოლი (მმოლი) (NH4)2SO4;
- 2.4 მკმოლი MgSO4;
- 220 მკმოლი (მკმოლი) დეზოქსინუკლეოზიდტრიფოსფატები (dNTP);
- სტაბილიზატორები.

აღნიშნულ ნაკრებს ემატებოდა 50 მკმოლი პრაიმერების ნარევი (*glk*, *omp*, *trp*) და ბრუცელას იზოლატიდან ექსტრაგირებული 0.25 მკლ დნმ-ი. სარეაქციო არის მოცულობა შეადგენდა 25 მკლ-ს. ნარევი ნაწილდებოდა 0.2 მკლ სინჯარებშიდა იდგმებოდა თერმოციკლერში პჯრ-ის პროგრამის შესაბამისად (ცხრილი #7).

ცხრილი #7. პირველი ეტაპი: პჯრ-ის პირობები

საწყისი დენატურაცია	95°C	10 წთ
დენატურაცია	95°C	45 წმ
გამოწვა	53°C	45 წმ
ელონგაცია	72°C	45 წმ
საბოლოო ელონგაცია	72°C	7 წთ
დაყოვნება	4°C	

} 35 ციკლი

ამპლიფიცირებული უბნების სანახავად, 2მკლ ამპლიფიცირებულ პროდუქტს ემატებოდა 1 მკლ საღებავი და შეგვქონდა წინასწარ მომზადებულ 1.2 % აგაროზის გელში. გელის პირველ და ბოლო ფოსოებში შეგვყავდა 1მკლ, 100bp მოლეკულური წონის მარკერი.

მეორე ეტაპი: ExoSAP-ით გაწმენდა

ამპლიფიცირებული პროდუქტის, დეზოქსინუკლეოზიდ ტრიფოსფატებისგან (dNTPs) და პრაიმერებისგან გასაწმენდად, 5მკლ ნიმუშს ემატებოდა 2 მკლ ეგზოსაპი (ExoSAP-IT, USB Corporation, Ohio, USA) და თავსდებოდა თერმოციკლერში შემდეგი პროგრამის შესაბამისად:

ინკუბაცია – 37°C, 15 წთ

ინაქტივაცია – 80°C, 15 წთ

მესამე ეტაპი: ერთი ნუკლეოტიდით დაგრძელების რეაქცია - Single Base Extension (SBE)

Reaction:

ამ რეაქციისათვის საჭიროა Beckman codex-ის ნაკრები (GenomeLab SNPStart primer extension kit, Beckman codex). აღნიშნული ნარევი შეიცავდა:

- 10x ბუფერს
- დიდებოქსინუკლეოზიდ ტრიფოსფატებს – ddTTP, ddGTP, ddCTP, ddATP,
- პოლიმერაზას.

ერთი ნუკლეოტიდით დაგრძელების რეაქციისათვის მზადდებოდა პრაიმერების ნარევი (ცხრილი # 8).

ცხრილი # 8

SNP პრაიმერის სახელწოდება	საწყისი კონცენტრაცია (მკმოლი)	საბოლოო კონცენტრაცია (მკმოლი)	მოცულობა (მკლ)
glk196R	20	1.2	1.2
glk427R-T	20	1.0	1.0
glk255R-T	20	2.0	2.0
omp151F	20	1.0	1.0
omp239F-T	20	0.9	0.9
Trp290R-T	20	0.5	0.5

ნარევის ემატებოდა 4,5 მკლ წყალი, პრაიმერების ნარევი და 0,8 მკლ გასუფთავებული პროდუქტი და თერმოციკლერში თავსდებოდა შემდეგი პროგრამის მიხედვით (ცხრილი #9).

ცხრილი #9

საწყისი დენატურაცია	95°C	5 წთ
დენატურაცია	96°C	20 წმ
გამოწვა	64°C	10 წმ
ელონგაცია	72°C	30 წმ
საბოლოო ელონგაცია	72°C	7 წთ
დაყოვნება	4°C	

28ციკლი

მეთხე ეტაპი: Shrimp Alkaline Phosphatase-ით (SAP) გაწმენდა

მესამე ეტაპის შემდეგ მიღებულ პროდუქტი, დარჩენილი დიდფოქსინუკლეოზიდ ტრიფოსფატების მოცილების მიზნით იწმინდებოდა 3 მკლ გამწმენდი ნარევიტ (0,25 მკლ Roche SAP, 1,30 მკლ SAP ბუფერი და 1,45 მკლ - H₂O) და იდგმებოდა თერმოცილკერში შემდეგ პროგრამაზე:

37°C 30 წთ

65°C 15 წმ

მეხუთე ეტაპი: კაპირალური ფორეზი

39 მკლ SLS (Beckman Coulter GenomeLab Sample Loading Solution) და მოლეკულური წონის სტანდარტის (Beckman Coulter CEQ DNA Size Standard 80) ნარევს ემატებოდა მეოთხე ეტაპის შედეგად მიღებული 0.5 მკლ საბოლოოდ გაწმენდილ ნიმუში. აღნიშნული ნარევი შეგვქონდა 96 ფოსოიან პლანშეტში, რომელიც თავსებადი უნდა ყოფილიყო Beckman Coulter CEQ System-ისთვის. შეტანილ ნიმუშებს ემატებოდა მინერალური ზეთის თითო წვეთი და თავსდებოდა კაპირალური ფორეზის აპარატში (CEQ 8000, Beckman Coulter CEQ System).

შედეგების ინტერპრეტაცია:

